აშშ–ის შემდეგ აღნიშნულ სფეროში დომინირებენ თანმიმდევრობით დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. რუსეთი, როგორც აღვნიშნეთ, გაჟონვათა რეიტინგში 49 დარეგისტრირებული ინციდენტების მიხედვით გადის მეოთხე ადგილზე (ასს–ის, დიდი ბრიტანეთის და კანადიშ შემდეგ). ცნობები გაჟონვების შესახებ სხვა ქვეყნებში დარგობრივ მის–ში ჩნდებიან ეპიზოდურად, ამიტომაც მათი წლი არ აღემატება ერთეულ პროცენტებს.

2015 წელს წინა წლებთან შედარებით (საუბარია 2013, 2014 წლებზე) სიტუაცია შეიცვალა. პირველად 2009 წლის შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებები გავიდნენ პირველ ადგილზე. ამ დროს, როგორც სტატისტიკამ აჩვენა, სახელმწიფო სექტორი სამეულიდან არც ერთხელ არ ამოვარდნილა.

საწარმოებმა საცალო ვაჭრობის სფეროდან თავიანთი წილი შეამცირეს 13,1%–მდე, მაგრამ მაინც წინანდებურად ჭანჭრობში იმყოფებიან. შეიძლება აღინიშნოს სემდეგი ტენდენცია: თუ ადრე კიბერდამნაშავეების შეტევათა უმეტესობა მიმართული იყო საფინანსო კომპანიების წინააღმდეგ, ამჟამად მათი ვექტორი შეიცვალა, რაც კატგად ჩანს მე–3 ნახაზზე.


ნახ.23. გაჟონვების გეოგრაფია

აქვე გვინდა წარმოვადგინოთ ის ზარალი, რად მოყვა 2015 წელს გაჟონვების ზრდას. კომპანიის მონაცემებით ამ ზარალმა გადააჭარბა 29

მილიარდ დოლარს. ადრეგაჟონვებისაგან მაქსიმალური წლიური ზარალი დაფიქსირდა 2013 წელს და შეადგინა 25,11 მილიარდი დოლარი.

კიბერდანაშაულობებით მიყენებული ზარალის ზრდაზე მიუთითებენ Ponemon Institute ანალიტიკოსებიც გამოკვლევებში „2015 Cost of Cyber Crime Study“. აშშ–ში კიბერდანაშაულობების საშუალო ზარალმა შეადგინა 15,42 მილიარდი დოლარი, რაც 20%–ით არემატება წინა წლების მაჩვენებლებს.

2015 წელს კომპრომეტირებულ მონაცემების ტიპებს შორის , ყველაზე უფრო (თითქმის ორჯერ) გაიზარდა ფიზიკური პირების საფინანსო ცნობების წილი. ძალიან ხშირად ასეთი ინფორმაციის გადინება ხდება მიზანმიმართული შეტევების შედეგად. ფიზიკური პირების ფინანსური ცნობები შავ ბაზარზე ადვილად მონერიზირდება და ყველაზე უფრო მოთხოვნადია. მონაცემები, რომელთა გაყიდვაც ძნელია, არ წარმოადგენენ მაღალი დონის კიბერდამნაშავეების ძირითად მიზანს და მათთან ხვდება, მაშინ თუ ადვილად ხელმისაწვდომია ან ინახება მთავარ სამიზნესთან ერთად.

ზევით უკვე მივუთითეთ, რომ მოხდა შეტევათა ვექტორის გადანაცვლება საფინანსო კომპანიებიდან საცალო ვაჭრობის კომპანიებზე. კიდევ ერთი ტენდენცია – ესაა ცალკეულ მომხმარებლებზე შეტევათა წილის შემცირება კორპორაციებზე შეტევებზე სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების დაცულობის დონე მთლიანობაში მაღალია,



კიბერდამნაშავეების მიერ მირებული ინფორმაციის მოცულობა თურმე ბევრად მეტია, ხოლო ერთი ადამიანის მიერ მონაცემების მიღების შრომატევადობა შეუდარებლად დაბალია. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო კიბერდამნაშავეები წინანდებურად ფართედ იყენებენ შეტევებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე.

ნახ.24. გაჟონვების დარგობრივი სპეციფიკა

აქვე გვინდა წარმოვადგინოთ მონაცენების, ინფორმაციის გაჟონვების გამომწვევი მიზეზები.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკაში გამოიკვეთა საკმაოდ მოულოდნელი ციფრები ინსაიდერების განზრახვების არსებობასთან დაკაშირებით (ნახ.25.). მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მიზანმიმართული შეტევების გაზრდის ტენდენცია, მათ შორის თანამშრომლების მონაწილეობით კომპანიის შიგნით, მთლიანობაში 2015 წელს წინასწარგანზეახული გაჟონვები ფაქტიურად არ შეცვლილა 2014 წელთან შედარებით.




ნახ.25. ინფორმაციის გაჟონვით გამოწვეული ზარალი




ნახ.26. როგორი მონაცემების გაჟონვა ხდება.

ამასთანავე, შემთხვევითი გაჟონვები მხოლოდ რამოდენიმე პროცენტით უსწრებენ წინ მიზანმიმართულებს. ხოლო ზარალი გაჟონვებისაგან, რომლებიც განხორციელდა წინასწარგანზრახულად, აშკარად მეტია. ანუ, ნაკლები რაოდენობის ბოროტგანზრახულმა ინსაიდერებმა მიაყენეს უფრო მეტი ზარალი კომპანიებს, ვიდრე მეტი რაოდენობის დაუდევარმა, გულგრილმა თანამშრომლებმა.

გაჟონვის არხებთან დაკავშირებით 2015 წელს ყველაზე უფრო შესამჩნევია შემდეგი ცვლილებები: გაჟონვების წილის გაზრდა მობილური დამგროვებლების მეშვეობით (6,4%–დან 11,6%–მდე) და დაქვეითება (ზუსტად ორჯერ) ქაღალდის დოკუმენტებთან დაკავშირებული ინციდენტებისა. გაჟონვათა წილი მობულური დამგროვებლებიდან 2012 წლიდან უცვლელად მცირდებოდა, და 2015 წელს ნახტომისებრი ცვლილება ამ სფეროში უფრო გამოსვლაა საერთო ტენდენციიდან. იმის გათვალიწინებით, რომ ამ სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოებაში გათვითცნობიერება და ფართომასშტაბიანი დანერგვა დაშიფვრის

საშუალებებისა, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგი ზრდა გაჟონვებისა ნაკლებად მოსალოდნელია.




ნახ.27. განზრახვების არსებობა ინფორმაციის გაჟონვაში

მეორე ცვლილება შეიძლება ავხსნათ იმით, რომ კომპანიები ინფორმაციის დაცვაში გახდნენ უფრო ორგანიზებულები, და მნიშვნელოვნად შემცირდა კომპანიებში ქაღალდზე დოკუმენტბრუნვა. მიუხედავად ამისა, თუნდაც გადასვლა სრულად ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე ვერ გამორიცხავს მოცემული კლასის გაჟონვებს. აქ ბრალი მიუძღვის – წინა წლების უზარმაზარ არქივებს. ერთ–ერთი გავრცელებული კეისი – ესაა დოკუმენტების დაკარგვა, მათ შორის სათავსოების რემონტისას, ოფისის შეცვლისას, ან გაკოტრებისას. გასაგებია, ბოლო შემთხვევაში გაჟონვების შედეგები კომპანიისათვის არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ კომპრომეტირებული დოკუმენტების მფლობელებისათვის (კლიენტები, კომპანიის კონტრაგენტები) რისკი შეიძლება იყოს მაღალი.

ვებ–სევისი – ისევ და ისევ გაჟონვების ყველაზე პოპულარული არხია. მთელი ოთხი წლის განმავლობაში ინტერნეტის გავლით გაედინება ყველაზე მეტი კონფიდენციალური ინფორმაცია. მომხმარებლების მონაცემები და კლიენტების ბაზები – ტექნოლოგიის განვითარების გამო

ინსაიდერებს ვებ–ის მაშვეობით შეუძლიათ გააერთიანონ დიდი მოცულობის ინფორმაცია.

პრაქტიკულად არ შეცვლილა წილი გაჟონვებისა მობილური კომპიუტერებიდან და პლანსეტებიდან (14,1% 2015წელს), ელექტრონული ფოსტიდან (7,8%), მატარებლების არასწორი უტილიზაციის შედეგად (4%). ამ დროს 2012 წელს 8%–ზე მეტი ყველა გაჟონვებისა ხდებოდა ინფორმაციის განადგურების დაუმუშავებელი პროცედურების გამო. გამოდის, რომ სამი წლის შემდეგ წილი შემცირდა 2–ჯერ, რაც მიუთითებს ინფორმაციულ უსაფრთხოებაში მეტ გარკვეულობასა და ცოდნაზე. ნახ.30.–ზე მოცემულია გაჟონვების არხები და მათი სტატისტიკა 2013, 2014, 2015 წლებში.




ნახ.28. გაჟონვების არხები

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე გვინდა წარმოვადგინოთ მოკლე შემაჯამებელი დასკვნები და პროგნოზი.

მიუხედავად იმისა, რომ 2013–2914 წლებში სახეზეა დარეგისტრირებული ინფორმაციის გაჟონვების რაოდენობა და თვით ზარალის შემცირებაც 25 მილიარდი დოლარიდან 18,5 მილიარდ დოლარამდე, 2015 წელს ჯამური შედეგები ცხადად მიგვანიშნებენ, რომ კორპორაციული ინფორმაციის გაჟონვების მოცულობა და კომპანიების დანაკარგები მომავალში იზრდებოდნენ იქნება. ამაზე მიუთითებენ სულ უფრო მეტი გახვეწილობა მეთოდებისა, რომლებსაც იყენებენ კობერდამნაშავეები, ასევე კომპანიების და მათი თანამშრომლების გულგრილობა ინფორმაციის დაცვის საკითხებში.

მაგრამ, ძნელია ცალსახად ვაღიაროთ მთავარ დასკვნად ის ფაქტი, რომ გაჟონვების რაოდენობამ და მათგან მიღებულმა ზარალმა მიაღწია ისტორიულ მაქსიმუმს. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია გაჟონვების ვექტორის გადანაცვლება ფიზიკური პირების საფინანსო მონაცემების მხარეს. ეს ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია მაღალი ღირებულება, მისი ცოცხალ ფულად გადაქცევა შედარებით ადვილად და სწრაფადაა შესაძლებელი. მაგრამ უფრო ხშირად მსგავსი მონაცემები კიბერდამნაშავეების ხელში ხვდება არა თვითონ მფლობელებისაგან, არამედ მსხვილი კომპანიებიდან, პიველ რიგში, საფინანსო ორგანიზაციებიდან და ცალობრივი ვაჭრობის საწარმოებიდან, მიზანმიმართული შეტევებით ან ინფორმაციის შემთხვევითი გაჟონვების შედეგად.

2015 წლის გაჟონვების ანტირეიტინგში მოხვდნენ გარდა საფინანსო კომპანიების და სცალო ვაწრობის მაღაზიებისა ასევე სახელმწიფო დაწესებულებები. თანაც ამ წელს სახელმწიფო სექტორი, პირველად მრავალი ხნის შემდეგ, გახდა ლიდერი. ბოლო წლების ტრენდების საშუალებას იძლევა იმის მტკიცებისა, რომ მომავალში სახელმწიფო დაწესებულებები დარჩებიან მოქალაქეების პერსონალური მონაცემების

მასობრივი გაჟონვებში მთავარი დამნაშავეების რიცხვში. ეს უბედურება დამახასიათებელია სახელმწიფოების უმეტესობისათვის, რომლებიც მოხვდნენ მოცემულ ანგარიშში. ინციატივები და ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ინციდენტების რიცხვი შეიზლება შემცირებულიყო, მოცემულ მომენტში უბრალოდ არ არსებობენ.

ამასთან ერთად, ინციდენტების სტატისტიკა მიუთითებს იმაზე, რომ გაიზარდა პროცენტი გაჟონვებისა რტული სქემების გამოყენებით, მათ შორის სოციალური ინჟინერიის ელემენტების, ჩანერგილი ინსაიდერების და ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა არხებისა. ეს ნიშნავს, რომ კომპანიების უსაფრთხოების სამსახურებს მოუწევთ წინ აღუდგნენ ძალზე სერიოზულ გამოწვევებს, რომლებიც განსხვავდებიან ტიპიური სქემებისაგან, რომლებიც შექმნილი იყო ბოროტგანმზრახველების მიერ წინა წლებში. კიბერდამნაშავეები ერთად იყენებენ შეტევების რამოდენიმე ვექტორს, რაც საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნას სუსტი ადგილები ყოველ ცალკეული მიმრთულებით, გამოიყენონ და შეუხამონ აღმოჩენილი ხვრელები, მაქსიმალური ზიანის მიყენებით. იმისათვის, რომ ეფექტურად წინ აღუდგნენ მსგავს სეტევებს, ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტებს უწევთ იმოქმედონ ორგანიზაციასთან ერთად, დამოუკიდებლად აღმოაჩინონ და დახურონ არსებული ხვრელები (გარღვევები). მაგრამ ხშირად ასეთი რამ შეუზლებელია ფიზიკურად, ვინაიდან რესურსები (ადამიანური და მატერიალური) შეზღუდულია. ასეთ პირობებში მთავარი ძლისხმევა მიმართულია ყველაზე უფრო ღირებული რესურსების დაცვაზე. ეს კი ძალზე მნიშვნელოვნად აქცევს კორპორაციული ინფორმაციის კლასიფიკაციას; ამ ასპექტში თვით კლასიფიკაცია ითვლება უმნიშვნელოვანეს ეტაპად ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ცალკე პერსპექტივაში ტექნოლოგიის განვითარება საშუალებას მოგვცემს საკმარისად ეფექტურად იქნას დაცული კორპორაციული მონაცემების მთელი მოცულობა. მაგრამ ჯერ–ჯეროთ ყოველ წელს იზრდება კლასიფიკაციის როლი,, ხოლო

ინფორმაციული უსაფრთხოების დანაყოფების შესაძლებლობები მიმართულია ყველაზე მნიშვნელოვანი კორპორაციული რესურსების დაცვაზე.

გახმაურებული ინფორმაციის გაჟონვები რუსული კომპანიებიდან Securion Analytics-ის მონაცემებიდან გამოვყოფთ ცნობილ კომპანიებში დაფიქსირებულ ინციდენტებს.

### Mail.ru

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, Mail.ru უკვე პირველად როდი ხვდება გახმაურებული გაჟონვების სიაში. მაგრამ თუ ადრე ეჭვი ჰქონდათ მომხმარებლების მონაცემების გაჟონვებში, 2015 წელს, შესაძლებელია, კონკურენტებთან გაჟონა კონფიდენციალურმა ინფორმაციამ ახალი მომსახურებების შემოტანასთან დაკავშირებით. შედეგად Mail.ru–მ და იანდექსმა ერთ დღეს დაანონსეს ეკაუნტებთან ორფაქტორიანი აუტენტიფიკაციის გაშვება. თანაც იანდექსმა თავისი პრეს–რელისი დააგზავნა კონკურენტებზე რამოდენიმე საათით ადრე.

ოფიციალური პირების კომენტარებიდან გამომდინარე, Mail.ru გადინების შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს, მაგრამ თვით დამთხვევის ფაქტი ბადებს ბევრ შეკითხვებს. Mail.ru–ს ვიცე–პრეზიდენტმა ანნა არტამონოვამ თავის ფეისბუკზე გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნავს, რომ „როგორ მოხდა ისე, რომ იმ დღეს როდესაც დანიშნული იყო რელიზი, ვიღაცამ დაგვასწრო სამი საათით ადრე – კარგი შეკითხვაა, მაგრამ არ მინდა ვინმეზე ეჭვის მიტანა“.

აღსანიშნავია, რომ ეს არაა ერთადერთი შემთხვევა . ჯერ კიდევ 2012 წელს, ორივე ინტერნეტ კომპანიამ ერთ დღეში გაუშვეს განახლებული სერვისი ტანსაცმლის არჩევისა მსგავსი ფუნქციონალით. უკვე მაშინ ბანალური თანხვედრა მიჩნეულ იქნა ძალზე გასაკვირ სცენარად.

### ბანკი „სანკტ–პეტერბურგი“

ყველაზე მასშტაბური გადინება საკრედიტო ორგანიზაციის კლიენტების შესახებ მონაცემებისა მოხდა 2015 წლის გაზაფხულზე, და

ყველაფერი ეს ცნობილი გახდა იმავე წლის ივლისში. ბანკი „სანკტ–პეტერბურგის“ წარმომადგენლების მონაცემებით ბოროტგანმზრახველების ხელში მოხვდა რამოდენიმე ათასი კლიენტის სახელები, ანგარიშების ნომრები, ბარათების ნომრები. ასევე ბანკი დაჟინებით მიუთითებს იმაზე, რომ არც საკრედიტო ორგანიზაციას, არც მის კლიენტებს შეტევების შედეგად რაიმე ზარალი არ მიყენებიათ, ხოლო თვით გადინებას უწოდებს „მართვადს“. სავარაუდოდ, დაუშვეს ინფორმაციის გადინება, რათა ადვილად მომხდარიყო გასვლა ბოროტგანმზრახველებზე. ამასთან ერთად, კლიენტებს შესთავაზეს უფასოდ მიეღოთ კომპრომეტირებული ბარათების შემცვლელი ახალი ბარათები.

თვითონ კიბერდამნაშავეები მოითხოვდნენ მათთვის 29 მილიონი რუბლის გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ პრესაში გამჟღავნებით, საჩივრებით მარეგულირებელ ორგანოებში და საერთაშორისო საგადასახადო სისტემებში Visa და Mastercard. ბანკი არ დაემორჩილა გამომძალველების მუქარებს და თვითონ დაასწრო მათ მოვლენების შესახებ პუბლიკაციებით მასობრივი ინფორმაციის წყაროებში (მიწ). რეალური ზარალი ინციდენტებისაგან უცნობია, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბანკისათვის სარეპუტაციო რისკები იყო საკმაოდ მაღალი. შეტყობინებები ბანკის უსაფრთხოების სისტემის მოწყვლადობებზე გაჩნდა დარგობრივ, რეგიონალურ და ფედერალურ მიწ–ებშიც კი, და, შესაძლებელია, გავლენა იქონიეს პოტენციური კლიენტების გადაწყვეტილებებზე, ასევე დაბლა დაეწია მიმდინარე კლიენტების ლოიალურობა.

### იჟევსკის ავტოქარხანა

გაჟონვა ახალი პროდუქტების ფოტოსურათების და მახასიათებლების მათი ოფიციალურად გამოჩენამდე არც ისე დიდი ხნით ადრე იქცა ნორმად საზღვარგარეთის ბაზარზე.. 2015 წელს ამ მხრივ გამოირჩეოდნენ რუსეთის ინსაიდერებიც. მათ გადაიღეს „საიდუმლო“

სურათები ახალი სერიული ავტომობილის – ლადა ვესტასი და მიყიდეს 200 რუბლად ინტერნეტ ბლოგერს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს უსაფრთხოების სამსახურს ეს ინვიდენტი არ დაუტოვებია უყურადღებოდ, ოპერატიულად ჩაატარა გამოძიება მომხდარი ინციდენტის, იპოვა და დასაჯა დამნაშავეები.ინციდენტთან დაკავშირებული აღმოჩნდა საწარმოს ორი თანამშრომელი და გარე მომწოდებლის წარმომადგენელი. შედეგად ერთი თანამშრომელი, რომელმაც გადასცა ფოტო, დათხოვნილი იქნა, მეორეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო გარე მომწოდებლის წარმომადგენელს შეეზღუდა დასვება ქარხანაში.

აღნიშნულმა ინციდენტმა მიიღო ფართო გახმაურება, თუმდა ქარხნის ზარალი არც ისე ცხადია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოტოგრაფიების მსგავსი გადინება მიზანშეწონილია შეიზღუდოს ორგანიზაციული ზომების გამოყენებით.

## Topface

2015 წლის იანვარში კიბერდამნაშავეებისათვის ერთ–ერთ ფორუმზე აღმოაჩინეს ბაზა მომხმარებლებისა რუსული სერვისის Topface–გაცნობა. თვით სერვისი საკმაოდ პოპულარულია რუსეთში და საზღვარგარეთაც. დაფიქსირდა ის ფაქტი, რომ 20 მილიონი აკაუნტიდან, მხოლოდ ნახევარი ეკუთვნის მომხმარებლებს რუსეთიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზაში დაფიქსირებული იყო მხოლოდ ელექტრონული მისამართები და ფარული სახელები მომხმარებლების, კიბერდამნაშავეები ხალისიანად ყიდულობენ მსგავს ინფორმაციას არც ისე დიდ ფასად – სპამების, ფიშიგური წერილების დასაგზავნად ან აკაუნტების შესამოწმებლად სხვა სერვისებში.

გაჟონვების შესახებ კომპანიაში გაიგეს მიწ–დან, ოღონდ ოპერატიულმა რეაქციამ ინციდენტებზე და მისმა გამოძიებამ მოიტანა კატგი შედეგები. Topface–ის მფლობელებს შეეძლოთ დაკავშირება

ხაკერთან, რომელმაც გაყიდა მონაცემები, მაგრამ არ შეეცადნენ მის ჩაბარებას სამართალდამცავი ორგანოებისათვის, მაგრამ მოილაპარაკეს თანამშრომლობაზე. ხაკერმა უარი თქვა მიღებული მონაცემების გავრცელებაზე და მიიღო პრემია მოწყვლადობების აღმოჩენაზე. ამის გარდა, მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთთანამშრომლობაზე სერვისების უსაფრთხოების საკითხებში.

### მაღალი რანგის ჩინოვნიკების პირადი მონაცემების გაჟონვა

2015 წლის შემოდგომაზე სანქცირებული სიების გაფართოების მორიგი რაუნდისას გოსდუმის დეპუტატებმა დასვეს შეკითხვა, როგორ მიიღეს უკრაინელებმა რუსეთის მოქალაქეებმა (მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების), პასპორტების ნომრაბი, მისამართები, და ა.შ.სანქცირებული სიების ცალკეულმა მონაწილეებმა დაადასტურეს გამოქვეყნებული მონაცემების ნამდვილობა. ამ დროს სიებში აღმოჩნდა იმ ადამიანების მონაცემებიც, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე არასოდეს არ ყოფილან.

თუ რამოდენიმე წლის წინ რუსეთის მოქალაქეების საპასპორტო მონაცემების პოვნა  შედარებით ადვილად შეიძლებოდა, სახელმწიფო დაწესებულებების და უწყებების მრავალრიცხოვანი ბაზებიდან ერთ–ერთის შესყიდვით.მაგნიტური დისკები ბაზებით ფართოდ იყიდებოდა მიწისქვეშა გადასასვლელებსა და რადიობაზრობებზე. ამჟამად გართულებყკია ბაზების გაყიდვა, ასევე დაიწია მათი განახლებების სიხშირემ. ზოგიერთი არხები საერთოს დაიხურა. მიუხედავად ამისა, პერიოდული დაუდევარი გაჟონვები ფაქტიურად ხაზს უსვამენ ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობას.

2015 წლის მარტის ინციდენტი – სახელმწიფო შესყიდვების პორტალზე აღმოჩენილი იქნა ფედერაციის საბჭოს წევრების საპასპორტო მონაცემები. ინფორმაციის განთავსება პარლამენტის ზედა პალატის აპარატმა სენატორების უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობის დაზღვევის სხვა საკონკურსო დოკუმენტებთან ერთად. თუმცა თვითონ

პოლიტიკოსები ინფორმაციის გახსნაში რაიმე საფრთხეს ვერ ხედავენ, დაშვება მონაცემებთან რჩება ღია.

### იანდექსი

კომპანია იანდექსმა კინაღამ დაკარგა თავისი ნოუ–ჰაუ თანამშრომლის არაკორექტული მოქმედებების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ისტორია დამთავრდა მშვიდობიანად, რისკები იყო ძალიან მაღალი. გაჟონვა ნამდვილად მოხდა; ინსაიდერმა შეძლო წამატებით მოეხდინა ფლეშზე კოპირება მაძიებლის ალგორითმის და სხვა მონაცემების.

ინსაიდერი შეეცადა გაეყიდა მოპარული მონაცემები 25 ათას დოლარად და 250 ათას რუბლად, მაგრამ ის დაკავებულ იქნა სპეც.სამსახურის თანამშრომლების მიერ. ამ დროს თვით იანდექსში საწყისი კოდის ღირებულება შეაფასეს რამოდენიმე მილიარდ რუბლად, სამაძიებლო პროგრამა ესაა ესაა კომპანიის ძირითადი სერვისი.

ინსაიდერი მიღებული თანხით გეგმავდა საკუთარი ბიზნეს–პროცესის გაშვებას. თუმცა წარმოიშვა პრობლემა მოპარული ინფორმაციის გაყიდვასთან დაკავშირებით. მყიდველებს იანდექსის ყოფილი თანამშრომელი ეძებდა ნაცნობების მეშვეობით და სპეციალიზირებულ ხაკერულ ფორუმებზე, სწორედ აქ ჩაუვარდა ის ხელში ოპერატიულ თანამშრომლებს.

### ადამიანური ფაქტორი

იუ–ის უზრუნველყოფის საქმეში ადამიანი წარმოადგენს ყველაზე უფრო მოწყვლად რგოლს. შეტევების უმეტესობა, მათ შორის მსხვილ კოპანიებსა დაწსებულებებზე არარეალიზებადია მათი თანამშრომლების მონაწილეობის გარეშე. ჩანერგილი ინსაიდერები და მოსყოდული თანამშრომლები მნიშვნელოვნად ამსუბუქებენ ბოროტგანმზრახველების ამოცანას, ოღონდ ინფორმაციების გაჟონვების უმეტესობა წარმოადგენს თანამშრომლების გულგრილობის და მათი ინფორმაციის დაცვაში გაუთვითცნობიერებლობის შედეგი. უფრო ხშირად და სულ უფრო წარმატებით გამოიყენება სოციალური ინჟინერიის მეთოდები.

მაღალი კლასის ბოროტგანმზრახველებს გააჩნიათ უნარი გაიტანონ არა მარტო ინფორმაცია, არამედ პირდაპირ ფულიც.მართლაც, იმის ნაცვლად, რომ ინადირონ ინფორმაციაზე, რომლის გაყიდვისათვის საჭირო იქნება მყიდველის პოვნა , ბევრად ეფექტურია აიძულონ ადამიანი მაშინვე გადარიცხოს ფული. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს მართლაც შესაძლებელია. ასე მაგალითად, კომპანია Ubiquiti-მა 2015 წლის ზაფხულში აღიარა რამოდენიმე მილონი დოლარის დაკარგვა თაღლითების მოქმედებების გამო.მხოლოდ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, მათ აიძულეს კომპანიის ერთ–ერთი თანამშრომელი გაეკეთებინა რამოდენიმე საბანკო გადარიცხვა – ჯამში 46,7 მილიონი დოლარის, რომელთაგან მხოლოს 8,1 მილიონი დოლარის დაბრუნება ღა გახდა შესაძლებელი. ჩატარებულმა შიდა გამოძიებამ აჩვენა – გარედან ჩარევა ქსელის შიდა სერვისებსა და მუშაობაზე არ ყოფილა მსგავსი შეტევებისაგან დაცვის აგება ერთდროულად ადვილიცაა და რთულიც. ადვილია – იმიტომ რომ ღონისზიებები (იუ–ში ისტრუკტაჟი და ტრენინგები) არ მოითხოვენ დიდ ფინანსურ დანხარჯებს და ადვილად შეღანხმებადია ხელმძღვანელობასთან. რთულია – ფაქტია რომ შეცვლა ადანიანების ჩვევების, მათი დარწმუნება ინსრუქციების შესრულებაზე, რაღაც თვალსაზრისით შეცვლილი იქნას მსოფმხედველობა – ინტერნეტი არც ისე მეგობრულია, როგორც გვინდა ველოდოთ.

თუმცა ფორმალურად კორპორაციული ინფორმაციის შენარჩუნებაზე პასუხს აგებენ იუ–ის სპეციალისტები ან ბიზნეს–ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, უსაფრთხოება იწყება თვით მომხმარებლებიდან – ხაზური თანამშრომლებისაგან, რომლების მუშაობენ მონაცემებთან ყოველ დღე.

რუსეთში ოფისის თანამშრომლების ნახევარზე მეტი არ თვლის ამაზრზენად დათხოვნის მუქარისას ან სამუშაოს შეცვლისას გაიტანოს ინფორმაცია. თუნდაც ჩვეულებრივმა კოპირებამ მონაცემებისა ფლეშკაზე ან გაგზავნამ სახლის ფოსტაზე შიძლება გამოიწვიოს მონაცემების გაჟონვა. ეს

წარმოადგენს პირდაპირ დარღვევას შეთანხმებისა, რომ არ მოხდეს ინფორმაციის გათქმა, რომელსაც ბევრ კომპანიაში ხელს აწერენ თანამშრომლები.

გაჟონვები ასევე დაკავშირებული ინფორმაციასთან მუშაობის სხვა წესების დარღვევასთან. ყველაზე ადვილია მონაცემების შენახვა–შენარჩუნება მათი რეგლამენტირებული შენახვის ადგილებში. ჩვეულებრივ ესაა ქსელური დისკები ან შიდა საინფორმაციო სისტემები. მონაცემები ჩვეულებრივ ინახე დაშიფრულისახით, ხოლო იტ–სისტემები აადვილებენ მათთან დაშვების კონტროლს. კოპიოების შექმნა და და მონაცემების გადმოტვირთვა ლოკალურ დისკზე მნიშვნელოვნად ზრდიან რისკებს. ასევე ცუდია, როდესაც დოკუმენტები იქმნებიან და ინახებიან ლოკალურ კომპიუტერებზე. ამ შემთხვევაში გაჟონვის რისკს ემსტება მონაცემების დაკარგვის რისკი. მოწყობილობის შეფერხებისას ან კოპიუტერის ვირუსებით დაბიძურებისას ინფორმაცია შეიძლება აღმოჩნდეს ხელმიუწვდომელი. თუ ქსელურ სერვისებში მონაცემების რეზერვირება ხდება რეგულარულად, სამუშაო სადგურებში მომხმარებლები ასეთ რამეზე არც ფიქრობენ.



ნახ.29. თანამშრომლების შეცდომები, რომლებსაც მივყავართ ინფორმაციის გაჟონვენთან

ყველაფერი ეს ერთობლიობაში მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს კორპორაციული ინფორმაციის მიმართ. სწორედ ამიტომაც გაჟონვების თავიდან აცილების სისტემები ორიენტირებული არიან არა მარტო ბოროტგანზრახულ ინსაიდერებზე, არამედ ლოიალურებზეც, გულგრილ ან მანიპულატორებზე, ხოლო პროდუქტების ფუნქციონალი მოიცავს შესაძლებლობებს გამოსავლენად კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვის ადგილების, მონაცემების კლასიფიკაციას, გადაადგილებების დეტექტირებას და დარღვევების თავიდან აცილებას.

## კრიტიკული ინფრასტურუქტურის ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის პროცესების მოდელირება

ობიექტების (კმო) ინფორმატიზაციას IP ტექნოლოგიების ბაზაზე კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის (კიი) უსაფრთხოება ფაქტიურად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აქცია თანამედროვეობის მწვავე პრობლემა. ინფორმაციზაციის პროცესი განაპირობებს ინფორმაციული უსაფრთხოების (იუ) ახალი სახის მუქარების გაჩენას, რომლებიც მიმართული არიან, პირველ რიგში, კმო –ის მართვის და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემებზე, რომლებიც ყველაზე უფრ განიცდიან დესტრუქციულ ინფორმაციულ წემოქმედებას (დიზ) ტერორისტული მუქარების გაზრდილი დონე საზოგადოების სულ უფრო მეტ დამოკიდებულებას სამრეწველო სისტემებზე მოითხოვენ კოორდინირებულ გატარების ზომებისა, რომლებიც მიმართული არიან კმო – ის ფუნქციონირების დეზორგანიზაციის ან სრული შეწყვეტის რისკის გაწევაზე ინფორმაციული კონფლიქტისას. ერთ – ერთი შესაძლო მიმართულებას ამ პრობლემის დაძლევისა წარმოადგენს კმო – ის კიი – ის

აუდიტის ჩატარება, რომლის ძირითად ეტაპს წარმოადგენს იუ – ის არსებული მუქარების იდენტიფიკაცია.

იუ – ის მუქარების აქტუალური ჩამონათვალი უნდა განისაზღვროს კმო – ის იყოს დამრღვევის შესაძლო მოქმედებების მოდელირების შედეგების.

დღეისათვის არაა საკმარისად ფორმალიზებული დამრღვევის პოტენციალის დონის და მისი ინფორმაციული ზემოქმედების (იზ) ეფექტურობის შეფასების მეთოდოლოგია. ფაქტიურად დონე განისაზღვრება ექსპერტულად მხოლოდ მართვის ცნობილი კრიტერიუმების.

**ანალიზი ნორმატიულ – სამართლებრივი ბაზისა რესეთის ფედერაციის (რფ) მაგალითზე, რომელიც არეგლამენტირებს იც – ის დამრღვევის დონის შეფასების მიდგომებს.**

ტრადიციულ ავტომატიზებულ სისტემებში (ას) იუ – ის დამრღვევის მოქმედებების საფრთხეების დონის შეფასებისადმი მიდგომები მოყვანილია ნახ. 30 – ზე.

იუ – ის დამრღვევების კლასიფიკაცია (ნახ.30 პირველი მიდგომა) დღეისათვის უკვე მოძველებულია, ვინაიდან მისი შემუშავება ხდებოდა თანამედროვე ას – ების ქსელური არქიტექტურის გათვალისწინების გარეშე. მეორე მიდგომა (ნახ.30) საშუალებას იძლევა, მოხდეს იუ დამრღვევების კლასიფიკაცია არა მარტო დასაცავ ინფორმაციასთან დაშვების უფლებამოსილების დონის მიხედვით, არამედ საწარმოს კონტროლიზებად ზონაში თვით ფიზიკური დაშვების არსებობის ფაქტის გათვალისწინებით, მაგრამ მოცემული მიდგომა დამრღვევს აფასებს მხოლოდ ორი ასპექტით (რეალურად მათი რაოდენობა მეტია) და არ იძლევა საშუალებას კვალიმეტრის პოზიციიდან გაიზომოს დამრღვევის პოტენციალის დონე, ასევე შეფასდეს მისი მოქმედებების შედეგიანობა.

მესამე მიდგომის (ნახ.30) ჩარჩოებში შემოთავაზებულია არ მოხდეს განხილვა დამრღვევის შეტევის ობიექტთან ურთიერთმოქმედბისა და არ გაკეთდეს არავითარი ვარაუდი უსაფრთხოების ფუნქციის რეალიზაციის კორექტულობასთან დაკავშირებით, არამედ განხილული იქნას ინფორმაციული ზემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ავტომატიზებული სისტემის მოწყვლადობების ანალიზის შედეგების კონტექსტში, ძირითადი მიზანი ამ ანალიზისა, რომელიც სრულდება აუდიტისას, – გაკეთდეს დასკვნა, რომ შეფასების ობიექტი არის მდგრადი მოწინააღმდეგის შეტევებისადმი, რომელსაც გააჩნია, საშუალო ან მაღალი პოტენციალი თავდასხმებისა. დამრღვევის პოტენციალი უნდა განისაზღვროს მისი შესაძლებლობების შეფასებისას, რომელიც ტარდება იუ აქტიური მუქარების განსაზღვრისას. იუ – ის ეს მუქარები უნდა განისაზღვროს



ნახ. 30

დამრღვევის შესაძლო მოქმედებების მოდელირების შედეგად, რაც მოითხოვს დამუშავებული იქნას მეთოდოლოგიური საფუძვლები დამრღვევის პოტენციალის შეფასებისა ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემის (ტპ მას) სპეციფიკის გათვალისწინებით.

ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოების თვისებებზე ნახ. 30 გავლენას ახდენს ტპ ელემენტარული თვისებები და მათი მართვის სისტემები დაკვირებადობა, მართვადობა, იდენტიფიცირებადობა.

## 2.4. კმო იუ – ის უზრუნველყოფა ტპმას – ის სპეციფიკის გათვალისწინებით

მიმდინარე მომენტში კმო უსაფრთხოების გამოკვლევებთან დაკავშირებით კვლევითი მიმართულება ყოვნდება. ვინაიდან არ არსებობს ერთიანი შეხედულება  ცპ მას – ის იუ – ს არსთან დაკავშირებით. მოცემულ ტექნოლოგიურ სისტემებს გააჩნიათ უფრო მაღალი დონე რისკისა ტრადიციულ ას – ებთან შედარებით. სისტემის მუშაობისუნარიანობის

დარღვევა, მავნე ნივთიერების გამოყოფა, ტექნოლოგიური კატასტროფები და ადამიანების დაღუპვა. ამიტომ გარდა ინფორმაციის კონფიდენციალობის, ურღვეობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა, დგება – ისმება საკითხი კმ – ში თვით ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოებისა.

ამიტომ ტპ – ს დაცვის მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოფილი იყოს ტექნოლოგიური პროცესების მართვადობის, დაკვირვებადობის და იდენტიფიცირნებადობის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დესტრუქციული ზემოქმედებები ტ.პ. მას– ზე, რაც დაკავშირებულია დაკარგვასთან:

– ტექნოლოგიური პროცესების მართვადობის, რომელიც მოიცავს მართვის ბლოკირების და/ან არასანქცირებულ მართვას,

– ტპ – ს დაკვირვებადობის: ტპ – სს პარამეტრების მოდიფიკაცია და/ან განაწილების გაზომვების ფალსიფიკაცია,

– სისტემის მუშაობისნარიანობის ავარია (გაჩერება) ტპ – ის და /ან გამოთვლითი რესურსები დეგრადაცია..

ტპ მას – ზე ყველა დესტრუქციული ზემოქმედებები წარმოადგენენ ნაწარმოებს შემდეგი სამი მიზეზებით: დაშვებადობის დარღვევა (უარი მომსახურებაზე).

კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციასთან, მისი მთლიანობის დარღვევა (მოდიფიკაცია) და კონფიდენციურობის დარღვევა (გაჟონვა).

კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს ტპ მას – ის დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ტექნოლოგიური“ ინფორმაცია, რომლის განადგურებამ ბლოკირებამ ან დამახინჯებამ შეიძლება გამოიწვიოს ტპ მას ის ფუნქციონირების დარღვევა. ასევე ინფორმაციისა „ტპ მას –სის და ტპ – ის შესახებ“. რომელიც მისი მოპარვის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას ტმ მას – ზე დესტრუქციული ზემოქმედებისათვის „ტექნოლოგიურ“ ინფორმაციას წარმოადგენს:

– ოპერატიული (დინამიური) ინფორმაცია (ტელემეტრია, ტელეგაზომვები, ტელემართვის) ტექნოლოგიური ტექნოლოგიური პროცეების მიმდინარეობის შესახაბ. საარქივო (სტატილური) ინფორმაცია (ნორმატიულ– ტექნიკური დოკუმენტაცია, ტპ – ს პარამეტრები და სხვა საარქივო ინფორმაცია.

ტპ იპს – ის ტნექნოლოგიური პროცესის შესახებ ინფორმაციის ქვეშ მოიაზრება ინფორმაცი შემადგენლობის სამართავი პროცესის მახასიათებლების პროგრამული და პროგრამულ – აპარატურული უზრუნველყოფის, განთავსების, კომუნიკაციების შესახებ.

ამიტომ ტპ მას – ისთვის დაცვის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ტექნოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ძალიანობის ურღვევობის უზრუნველყოფა,ხოლო მისი კონფიდენციალობის დაცვა არაა აქტუალური ოღონდ წარმოიშობა მომიჯნავე მუქარა „მპ მას – ის და ტექნოლოგიური პროცესების შესახებ“ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევისა.

4. ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის პროცესის მოდელირების ოპერატიული კომპლექსი

კვალიმეტრიის ძირითადი პრინციპებიდან ან მეთოდებიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია დარღვევის პოტენციალი დახასიათდეს ვექტორით:

$$Y_3^{\Pi} = Y_3^{\Pi}(A_{K'}^{'}; A_{K''}^{''}, B_{I'}^{'}),\ K = K'+K'',\ A_K < A_{(K)}^{'} + A_{<K'>}^{''} > [2,3,4]$$

მიზანმიმართული პროცესების ეფექტურობის თეორიის პოზიციიდან [5] ვექტორი $Y_3^{\Pi}$ არის მაჩვენებელი ინფორმაციალი ზემოქმედების შედეგების ვირტუალური ხარისხის. ის მოიცავს თავის თავში კომპონენეტების სამ ჯგუფს $Y_3^{\Pi} =< v, r, \tau >$, რომლებიც ახასიათებენ ვირტუალური (შესაძლე) მიზნობრივ ეფექტებს, სადაც V – არის მიზნობრივი ეფექტების (იზ – ის შედეგების) მაჩვნებელი, r – არის რესურსების ხარჯვის (იზ – ის რესურსების) მაჩვენებელი, τ – არის ოპერატიული დროის დანახარჯები (იზ – ის ოპერატიულობა). $Y_3^{\Pi}$

ვექტორის ყოველი კომპონენტი დამოკიდებულია ვექტორებზე $A'_{<k'>}, A''_{<k'>}, B'_{<I'>} =< v, r, \tau >$ – საექსპლუტაციო – ტექნიკური მახასიათებლები (სტმ) და პარამეტრები სისტემის იზ (სისზ) დარღვევისა, $B'_{<I'>}$ – სტმ და პარამეტრები იზ ორგანიზაციის პროცესისა (პრიზ) ან იზ ტექნოლოგიის, $B'_{<I'>}$ სიიზ ფუნქციონირების პირობების მახასიათებლები (ფპმ).

სიიზ ქვეშ მოვიაზრებთ ინფორმაციული ზემოქმედების (იზ) პროგრამულ – აპარატურული საშუალებების ერთობლიობას. იზ ფუნქციონირების პირობების მახასიათბელების (ფპმ) ქვეშ კი მოვიაზრებთ ერთობლიობას ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ სიოზ – ს სტმ – ზე (ვექტორი $A'_{<k'>}$) ასევე პრიზ – ს მახასიათებლებზე (ვექტორი $A''_{<3>}$) და მათი მეშვეობით განპირობება შესაძლო (ვირტუალური) იზ – ის $Y^{\Pi}_{<3>}$ შედეგებისა.

დაზღვევის მიერ იზ საშუალებების გამოყენება ხდება შეტევის ქვეშ მყოფი ტპ მას – ის დაცვის სისტემის აქტიური წინააღმდეგობების პირობებში. ამიტომ დამრღვევის მიერ სიიზ – ის გამოყენების პირობების $B''_{<I''>}$ ქვეშ მოვიაზრებთ შეტევის ქვეშ მყოფი ტპ მას – ის დაცვის მექანიზმების ერთობლიობას. დაცვის ეს მექანიზმები გავლენას ახდენენ სიტუაციაზე. რომელშიც მოუწევ სისზ ამოცანის შესრულება, და შესაბამისად განაპირობებენ მოთხოვნილ $Y^{3}_{<3>}(B''_{<I''>})$ დარღვევისათვის იზ შედეგებს ანუ $Y^{\Pi}_{<3>} \in \{Y^{3}_{<3>}\}$, სადაც $Y^{\Pi}_{<3>} =< V^{T}, r^{\Pi}, r^{D} >$ – არის მოთხოვნილი (მინიმალურად დასაშვები) მიზნობრივი ეფექტი $V, r^{\Pi}$ – არის ზღვრული (მაქსიმალურად დასაშვები) დანახარჯი რესურსების r, $\tau^{D}$ – არის დირექტიული (მაქსიმალურად დასაშვები) დრო τ.

თანაფარდობა $Y^{\Pi}_{<3>} \in \{Y^{3}_{<3>}\}$ წარმოადგენს ფორმალურ გამოსახულებას დამრღვევის იზ – ის მიზნებისა. შინაარსობრივად იზ – ის მიზანი განისაზღვრება დარღვევით ტექნოლოგიური პროცესების ფუნქციონირებისა, რომელთა დაცვის სპეციფიკა წარმოდგენილი იყო მე – 3 ნაწილში.

იზ – ის ეფექტურობის მაჩვენებელს აღვწერთ ვექტორით

$$Y^{nB}_{<3>} = Y^{nB}_{<3>}(A^{'}_{<k'>}, A^{"}_{<k">}, B^{'}_{<I'>}, B^{"}_{<I">})$$

სადაც

$$A^{'}_{<k'>} = A^{'}_{<k">}, B^{'}_{<I'>}, B^{"}_{<I">})$$

იუ – ის დარღვევის პროცესების მოდელირების ოპერატიული კომპლექსის (ოპკ) სტრუქტურული სქემა ნაჩვენებია ნახ. 3 – ზე.

გავხსნათ დარღვევის ტმ მას ინფორმაციალი ზემოქმედების ოპკ – ის ძირითადი ელემენტების შინაარსი.

– სას – სახელმძღვანელო დარღვევის.

– პმო – იზ პროცესის მართვის ორგანო,

– სიიზ – სისიტემა იზ – ძალები და საშუალებები იზ – ის,

– პროზ – პროცესი იზ – ტექნოლოგია (ორგანიზაციის პროცესი) იზ – ის,

– ფპმ – სიიზ – ის ფუნქციონირების პირობები,

– გპს – დარღვევის მიერ სიიზ – ის გაომყენების პირობები.

– v – მიზნობრივი ეფექტების მაჩვენებლების (იზ – ის შედეგიანობა),

– r – რესურსების ხარჯვის მაჩვენებლები (იზ – ის რესურსტევადობა),

– τ – იზ – ზე დახარჯული დრო (იზ – ის ოპერატიულობა).

იუ – ის დარღვევის პროცესების მოდელირების ოპერატიული კომპლექსი



ნაზ. 31 იუ – ის დარღვევის პროცესების მოდელირების ოპერატიული კომპლექსის სტრუქტურული სქემა $Y^{\partial}(B^{11})$

უნდა აღინიშნოს, რომ დამრღვევი (და მის მიერ რეალიზებული იზ) ინფოტელური კომუნიკაციურ სივრცეში დაცვის ქვეშ მყოფი მხარისთვის წარმოდგენილია საშიში პროცესების – იუ – ის დარღვევის პროცესები სახით. ეს დექტრუქციული პროცესები დაცვის პროცესებთან ერთად ქმნიან ე.წ. კონფლიქტში მყოფ პროცესები (მაკონფლიქტებელ), ხოლო გამოკვლევა მათ ერთმანეთს მიმართ წინააღმდეგობებისა – აქტუალური ამოცანაა.

ფაქტიურად პოტენციალი $Y_3^{\Pi}$ ახასიათებს დარღვევის შიდა სტრუქტურას და შესაძლებელის ანალიტიკურად წარმოდგენილ იქნას სხვანაირად. წყვილის სახით $< St_r, P_{ar} >$, სადაც $St_r$ – არის დამრღვევის სტრუქტურა, $P_{ar}$ მისი პარამეტრების $A'_{<r>}, A''_{<k">}, B'_{<i'>}$ მნიშვნელობები. $St_r$ სტრუქტურის ცოდნა და პარამეტრების $P_{ar}$ საშუალებას იძლევა კლასიფიცირებულ იქნას მოწინააღმდეგე სხვადასხვა კრიტერიუმების. ამიტომ დამრღვევის მახასიათებლებს აღვწერთ ფაქტორით $< St_r, P_{ar}, KI_{as} >$,. სადაც $KI_{as}$ – დარღვევის კლასიფიკაციის კრიტერიუმებია. გამოვიყენებთ რა პარამეტრებს $A'_{<k'>}, A''_{<k">}, B'_{<i'>}$ სხვადასხვა თანაფარდობებს შეიძლება კლასიფიცირება დამრღვევისა. ასპექტების სიმრავლით. მაგალითად პარამეტრის $A''_{<k">}$ მიხედვით – დარღვევის მიერ რეალიზებული იზ – ის ტიპი პარამეტრის $B'_{<i'>}$ მიხედვით – ტპ მას – თან შორიდან მიერთების სახე.

ამიტომ იუ – ის აუდიტის ჩატარებისას აუცილებელია, პირველ რიგში განისაზღვროს დამრღვევის კლასი, ხოლო შემდეგ უკვე შეფასდე ს მისი პოტენციალი. განვსაზღვროთ ფიზიკური არსი ცვლადებისა $A'_{<k'>}, A''_{<k">}, B'_{<i'>}, B''_{<i">}$

$A'_{<k'>}$ – – პარები და სტმ სიიზ – ესი დამრღვევის:

- სიიზ შემადგენლობა და სტრუქტურა,
- დარღვევის ტექნიკური კომპეტენტურობის დონე,
- შორიდან იდენტიფიკაციის საშუალებების მახასიათებლები (აგალითად მოშორებული პოსტების სკანირებისათვის გამოყენებული სესხები, სკანირების დროითი პარამეტრების მიმართვები, T⊂P/UD პროვოკაციების მდგომარეობის იდენტიფიკაცია და სხვა).
- ინფორმაცილი ზემოქმედების იზე, საშუალებების მახასიათებლები, მაგალითად რეალიზებადი ქსელური შედეგების კლასები და მათი რეალიზაციის ხერხები – მეთოდები, შესაძლებლობა მოდელის სხვადასხვა დონეებზე ზემოქმედების რეალიზაციის, მიმართულობა ინფორმაციული ზემოქმედების: დარღვევა კონფიდენციალობის მთლიანობის ან ინფორმაციასთან დაშვებადობის. და ა. შ. )
- გადაწყვეტილების მიღების სისტემების მახასიათებლები და ა.შ.

$A''_{<k">}$ – სტმ და პრ იზ პარამეტრები.

- იზ– ის მიზნების მათემატიკური აღწერა.
- იზ – ის დაწყების დროის მომენტი და განხორციელების პერიოდი,
- რეალიზებადი იზ – ის ტიპი,
- იზ – ის დაწყების პირობები (რეალიზებადი შეტევის ობიექტიდან მოთხოვნით (შეტევის ობიექტი –ში) ან შო – ზე მოსალოდნელი – სასურველი ოვლენის დადგენით უპირობა ზემოქმედებები),
- შო – თან უკუკავშირის არსებობა: უკუკავშირით უკუკავშირის გარეშე (ცალმხრივი მიმართულები იზ.).

– ეტალონური მოდელის OSI დონე, რომელზეც ხდება იზ – ის რეალიზება,

– იზ – ის განხორციელების ცენტრი,

– იზ – ის განხორციელების დაფარულობა და სხვა.

მახასიათებლები $B'_{<I'>}$ იზ ფუნქციონირების პირობები,

– ტპ მასთან დაშვების წერტილის არსებობა.

– ქსელი ინტერნეტს მეშვეობის შორიდან მიერთების სახე (აგალითად, კომუტირებადი მიერთება PSTN – ის საფუძველზე, მიერთება ISDN გამოყენების ლოკალური მიერთება DSL ტექნოლოგიით; გამოყენება თანამგზავრული კავშირების სიმეტრიული სისტემებისა, გამოყენება თანამგზავრული კავშირების ასიმეტრიული სისტემების, გამოყენებს მონაცემთა გადაცემის ფიჭური კავშირების და სხვა),

– ბო – ის შესახებ ცოდნის დონე: პოსტების რაოდენობა და მახასიათებლები, პოსტები და სერვისები, პროგრამული უზრუნველყოფა (პუ), აპარატურული უზრუნველყოფა, ქსელის ტიპოლოგია და სხვა.

– მოწყვლადობების არსებობა: სისტემური პუ – ს მოწყვლადობები (მათ შორის ქსელური ურთიერთქმედების პროტოკოლების) გამოყენებითი პუ – მოწყვლადობები (ათ შორის ინფორმაციის დაცვის საშუალებების) და სხვა.

# თავი III. ანალიზი განუსაზღვრელობებისა დარღვევების და მისი იზ – ის ეფექტურობის შეფასების მოდელირების პროცესების

დამრღვევის მოდელირების პროცესი მოიცავს განუზღვრელობებს:

ტიპი 1. დამრღვევის მათემატიკური სტრუქტურის – დამრღვევის პოტენციალის განუსაზღვრელობა – $\hat{Y}^{n}(\hat{A},\hat{B}'$

ტიპი 2. დამრღვევის მიერ იზ – ის სცენარის არჩევის კრიტერიუმის – $\hat{Y}^{\Pi}\underset{<}{\geq}\hat{Y}^{\partial}$,

ტიპი 3. იზ – ის შედეგების ხარისხის მაჩვენებლები $\hat{Y}^{NB}_{<3>}=\hat{Y}^{NB}_{<3>}(\hat{A}_{<K>},\hat{B}_{<I>})$.

იმის გამო, რომ როგორც დამრღვევს, ასევე მისგან დაცვის სისტემას უწევთ იმოქმედონ გაურკვევლობის პირობებში, პარამეტრების ვექტორების $\hat{A}_{<K>}$ და ,$\hat{B}_{<I>}$ მნიშვნელობები არიან შემთხვევითი (Λ – არის შემთხვევითი სიდიდის სიმბოლო), ხოლო შესაბამისად $\hat{Y}^{\Pi}$ ვექტორიც და $\hat{Y}^{NB}$ ვექტორიც ასევე იქნებიან შემთხვევითები, უფრო მეტიც, აპრიორში შემთხვევითები არიან დასაშვები მნიშვნელობები $\hat{Y}^{NB}_{<3>}$ ვექტორისა $\hat{Y}^{\Pi}$ რომლებიც დამოკიდებული ანიან შეტევის ქვეშ მყოფი სისტემის არ დაცვის სისტემაზე,

ვინაიდან დამრღვევის მიერ იზ – ის განხორციელებამდე თვითონ დამრღვევი და მის მიერ დასახული, ოპერაციის ჩატარების მიზანი უცნობია.

